



ალტერნატიული ანგარიში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ
გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ

ივნისი 2019



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

This report is made possible by the support of the American People through the United States Agency for International Development (USAID). The contents of this report are the sole responsibility of “Article 42 of the Constitution” and do not necessarily reflect the views of East West Management Institute, USAID or the United States Government.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია “კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

შინაარსი

I.	შესავალი.....	4
II.	მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი.....	7
1.	ინდივიდუალური ღონისძიებები.....	7
2.	ზოგადი ღონისძიებები.....	11
2.1.	მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების გამოყენება პრაქტიკაში.....	11
2.1.1.	დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების გამოყენების სტატისტიკა....	13
2.1.2.	მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების გამოყენება პრაქტიკაში და საერთაშორისო სტანდარტები.....	16
2.2.	დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შემდგომი დახვეწის საჭიროება.....	20
3.	დასკვნა.....	22
III.	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები.....	23
1.	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული რეგულირების ხარვეზი.....	25
2.	საერთო სასამართლოების პრაქტიკით დამკვიდრებული მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი.....	27
3.	გარანტიები „ნეიტრალური მტკიცებულებების“ შექმნის უზრუნველსაყოფად.....	30
4.	დასკვნა.....	31
IV.	დანაშაულის პროვოცირება.....	32
1.	ეროვნული კანონმდებლობა და ევროსასამართლოს პრაქტიკა დანაშაულის პროვოცირების საკითხზე.....	34
2.	ევროპის ქვეყნების პრაქტიკა დანაშაულის პროვოცირების საკითხზე.....	38
2.1	გერმანია.....	38
2.2.	ავსტრია.....	40
2.3.	დიდი ბრიტანეთი.....	41
2.3.1.	დანაშაულის პროვოცირების სამართლებრივი შედეგი.....	41
2.3.2.	დანაშაულის პროვოცირების დადგენის სტანდარტი.....	42
3.	დასკვნა.....	43
V.	შემაჯამებელი დასკვნა.....	44

I. შესავალი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში 2016 წელს შეტანილი ცვლილებებით, განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების (შემდგომში საერთაშორისო მექანიზმების) გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში. კერძოდ, ეს საკითხები რეგულირდება პარლამენტის რეგლამენტის 174-ე და 175-ე მუხლებით. ზედამხედველობის მექანიზმი გულისხმობს საქართველოს მთავრობის (იუსტიციის სამინისტროს) მიერ, პარლამენტისთვის ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 აპრილისა, საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენას და განხილვას შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების მიერ.

2016 წლიდან დღემდე პარლამენტმა მოისმინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 8 ანგარიში¹, 2016, 2017 და 2018 წლის პერიოდებზე, როგორც ევროსასამართლოს, ასევე გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე. აღსრულების ანგარიშების პირველი განხილვა შედგა 2017 წლის გაზაფხულზე, რის შემდეგაც,

¹ იხ. საქართველოს მთავრობის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/147066?fbclid=IwAR0udEb4-tUHpFxCfG9YLVjzBgWyD71LbpfKaGGbQ_0YnieB9jehk9ScaSQ ბოლო წვდომა 20/06/2019.

ასევე, მთავრობის მიერ დამატებით წარდგენილი ანგარიში 2016 წლის საანგარიშო პერიოდზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე. ხელმისაწვდომია ბმულზე

https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/147998?fbclid=IwAR3gfIjNF2W05An0moioyqcm18yioTVbjvYg0Msmg8QJnymgOhX-cf_c Js ბოლო წვდომა 20/06/2019.

იხ. ასევე, 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები). ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179494?> ბოლო წვდომა 20/06/2019.

იხ. ასევე, 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (დასრულებული საქმეები). ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179493?> ბოლო წვდომა 20/06/2019.

იხ. ასევე, 2018 წლის ანგარიშები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მიმდინარე და დასრულებული) და გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/#law-drafting/17728> ბოლო წვდომა 20/06/2019.

პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა (როგორც წამყვანმა კომიტეტმა) შეიმუშავა დასკვნები და რეკომენდაციები ანგარიშებში ასახული ზოგიერთი საქმის აღსრულებასთან დაკავშირებით.²

საერთაშორისო მექანიზმების გადანყვეტილებების აღსრულების პროცესში, როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე შიდა საპარლამენტო თუ სამთავრობო განხილვებში მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის - როგორც აღსრულების პროცესზე არაფორმალური ზედამხედველის როლი. არასამთავრობო ორგანიზაციების ამგვარი როლი არაერთხელ იქნა ხაზგასმული ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ, რაც შემდგომში განმტკიცდა კიდევ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის პროცედურებით. ევროპის საბჭოს სისტემაში, ფორმალურიზებულია შესაძლებლობა სამოქალაქო სექტორისათვის, წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების შესახებ.³

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, ასევე, ითვალისწინებს საკომიტეტო განხილვებისათვის მომზადების ეტაპზე, დაინტერესებული პირის/პირების მოსაზრებებისა და შეფასებების წარდგენის შესაძლებლობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ:

მუხლი 175. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობა

3. წამყვანი კომიტეტი ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების საკომიტეტო განხილვისთვის მომზადების მიზნით ეცნობა დაინტერესებული პირის/პირების მოსაზრებებსა და შეფასებებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ მონიტორინგს უწევს საქართველოს მთავრობის მიერ ევროსასამართლოს გადანყვეტილებების/განჩინებების აღსრულებას და აკვირდება აღსრულების პროცესს როგორც სამთავრობო, ასევე საპარლამენტო და სასამართლო ხელისუფლების დონეზე.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, საქართველოს პარლამენტს და იუსტიციის სამინისტროს გაეცნოთ ორგანიზაციის მოსაზრებები განსახილველ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით.

² იხ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადანყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2016 წლის ანგარიშზე. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/156711> ბოლო წვდომა 20/06/2019.

³ Rules of the Committee of Ministers for the supervision of the execution of judgments and of the terms of friendly settlements, Rule 9.2. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/16806eebf0> ბოლო წვდომა 20/06/2019.

წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინება (როგორც შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების, ისე არსებული პრაქტიკის ცვლილების მხრივ) ხელს შეუწყობს ევროსასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი რიგი გადაწყვეტილებების სრულყოფილად აღსრულებას და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებას ქვეყანაში.

ანგარიში მოიცავს სამ საკითხს:

1. **პირველი საკითხი** შეეხება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ სამართალწარმოებას, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი შემდეგი გადაწყვეტილებებიდან: „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N45729/05, 28/03/2017); „გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N13723/06, 12/10/2017); „ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N22715/07, 09/10/2018); „ლალაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N8710/07), 27/11/2018); „ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N7607/07, 27/11/2018), „ალასანია და ბარდაველიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N12611/08 და N25500/08, 09/10/2018). ანგარიშის ამ ნაწილში საუბარია ინდივიდუალური და ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე; კერძოდ, თუ რა დაბრკოლებებს აწყდებიან მომჩივანი ყოფილი მოსამართლეები მათი უფლებების აღდგენის კუთხით; ასევე, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და მექანიზმის ხარვეზებზე; არსებული მდგომარეობის ცვლილება აუცილებელია, რათა მომავალში თავიდან იყოს აცილებული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების გადასინჯვის პროცესში.
2. **მეორე საკითხი** შეეხება სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას. ევროპული სასამართლო ამ თემას 2009 წლის 15 ივნისის მშიდობიანი აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლის შედეგად გასაჩივრებულ საქმეებში შეეხო: „შპს სტელია მანესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N22318/10), 30/06/2015); „გიორგი ბეჭაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N312/10), 15/09/2015) და „მენაბდე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N4731/10), 13/10/2015). ანგარიშის ეს ნაწილი შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მხოლოდ რამდენიმე ხარვეზს, რომელიც იწვევს სამართლიანის სასამართლოს მოთხოვნების დარღვევას ყველა მსგავს საქმეში; კერძოდ, მტკიცების ტვირთის განაწილება, ნეიტრალური მტკიცებულებების მნიშვნელობა და პოლიციის ჩვენებების უტყუარობის პრეზუმპცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის საჭიროება მრავალი წელია დგას და მუდმივად ხაზგასმულია როგორც საქართველოს სახალხო დამცველის ასევე, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებსა და ანგარიშებში.

3. მესამე საკითხი შეეხება დანაშაულის პროვოცირების პრევენციას, კონკრეტულად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან მიმართებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოკვეთა გადანყვეტილებაში „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N31536/07), 28/06/2018).

ანგარიშის ამ ნაწილში მიმოხილულია ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზები, რომელსაც შესაძლოა კვლავს მოჰყვეს კონვენციით დაცული უფლებების დარღვევა; ასევე, მიმოხილულია ევროსასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები და სხვა ქვეყნების გამოცდილება, დანაშაულის პროვოკაციის პრევენციის და ასეთ შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების მიზნებისათვის.

წინამდებარე დოკუმენტში, სამივე საკითხთან დაკავშირებით, მიმოხილულია სახელმწიფო უწყებათა პრაქტიკაში არსებული პრობლემები და საკანონმდებლო ხარვეზები. ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც, ორგანიზაციის ხედვით, ხელს შეუწყობს ევროსასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადანყვეტილებაში გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრას.

II. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი

1. ინდივიდუალური ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში ევროპული სასამართლო) საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ ორ გადანყვეტილებაში „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N45729/05, 28/03/2017) და „გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N13723/06, 12/10/2017) დაადგინა კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევა ერთი და იმავე საფუძვლით. კერძოდ, სასამართლოს შეფასებით, მომჩივანი მოსამართლეების წინააღმდეგ 2004-2006 წწ. წარმოებულ დისციპლინურ სამართალწარმოებაში სადისციპლინო საბჭო არ იყო მიუკერძოებელი.⁴

ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში, მომჩივანი მოსამართლეების, გარდა მოსამართლე სტურუასი, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი იყო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 22 თებერვლის კანონის⁵ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტი - *მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა*. რაც შეეხება სტურუას, იგი გათავისუფლდა ამავე

⁴ იდენტურ სხვა საქმეებში, „ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N22715/07, 09/10/2018), „ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N8710/07), 27/11/2018); „ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N7607/07, 27/11/2018), „ალასანია და ბარდაველიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N12611/08 და N25500/08, 09/10/2018) სახელმწიფომ ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევა.

⁵ იხ. კანონის შესაბამისი რედაქცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ბმულზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16774?publication=13>; ბოლო წვდომა 20/06/2019.

კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტის საფუძველზე - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება.

რამდენიმე მომჩივანმა მოსამართლემ,⁶ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ, მოსამართლეების სტურუას და გაბაიძის საქმეებთან მიმართებით, გააუქმა დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები და საქმეები ხელახლა განსახილველად დაუბრუნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას⁷. სადისციპლინო კოლეგიის შეფასებით⁸, შეუძლებელია ამ საქმეების არსებითი განხილვა ხელახლა, ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების ხანდაზმულობის ვადებს, კერძოდ:

მუხლი 75⁹. დისციპლინური სამართალწარმოების ვადები

მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით⁹, ზემოაღნიშნულ მუხლში მითითებული ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება, ასევე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვის შემთხვევებზეც.

ხანდაზმულობის ვადის ამგვარი ინტერპრეტაცია შინაარსს აცლის მოსამართლის მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების შიდა დონეზე აღსრულების და გადასინჯვის მექანიზმს და აქცევს მას უმოქმედოდ.

⁶ საქმეებში - „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“, „გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ და „ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე Nსპ-15-17 (გაბაიძის საქმეზე); იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 10 ივლისის განჩინება (სტურუას საქმეზე).

⁸ იხ. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2018 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N21/01-18 (გაბაიძის საქმეზე).

⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება (სტურუას საქმეზე).

სასამართლოს სისტემის რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები შეეხება ზემოაღნიშნულ მუხლსაც. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს დისციპლინური სამართალწარმოების 5 წლიანი ვადის სამ წლამდე შემცირებას.¹⁰ იმ პირობებში, როდესაც, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკის თანახმად, ხანდაზმულობის აღნიშნული ვადა ვრცელდება საქმეთა გადასინჯვის შემთხვევებზეც, ვადის შემცირება კიდევ უფრო აუარესებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ეფექტურად აღსრულების შესაძლებლობას. ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვა მოითხოვს ხანგრძლივ ვადებს; ხოლო, სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის არსებობა, ამ დებულების ამგვარი განმარტების პირობებში, დისციპლინური საქმისწარმოების გადასინჯვას შეუძლებელს გახდის.

მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დასაწყებად კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები ემსახურება მოსამართლის დაცვის მაღალი გარანტიების შექმნას, მოსამართლის დამოუკიდებლობის გაძლიერებას, რათა შორეულ წარსულში მომხდარი გადაცდომის ფაქტები ვერ გახდეს მოსამართლის მიმართ დევნის და პასუხისმგებლობის საფუძველი.

ამ კუთხით ხანდაზმულობის ვადების მნიშვნელობაზე ევროპულ სასამართლოს ხაზგასმული აქვს თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ“.¹¹

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი რთულ მდგომარეობაში ჩააყენეს, ვინაიდან 2010 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე მას თავი უნდა ემართლებინა 2003-2006 წლებში მომხდარ ფაქტებზე, რადგანაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ხანდაზმულობის ვადებს „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე მოსამართლის წინააღმდეგ სამართალწარმოების დასაწყებად; ევროსასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ არ იმსჯელა თუ რა იქნებოდა ხანდაზმულობის გონივრული ვადა, დაადგინა, რომ დროში ასეთი შეუზღუდავი მიდგომა მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დასაწყებად, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს.¹²

შესაბამისად, მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის შექმნილი მექანიზმის გამოყენება მოსამართლის ინტერესების საზიანოდ ეწინააღმდეგება ამ მექანიზმის არსს. დისციპლინური საქმისწარმოების ვადების არსებობა ხელს არ უნდა უშლიდეს მოსამართლეს, გამოიყენოს სამართლებრივი გზა, მისი გათავისუფლების პროცესში დაშვებული დარღვევების შეფასებისა და აღმოფხვრისთვის.

¹⁰ იხ. კანონპროექტი : „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 12/06/2019, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/#law-drafting/18385>, ბოლო წვდომა

¹¹ იხ. Oleksandr Volkov v. Ukraine, საქმე no. 21722/11, 2013. ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-115871> ბოლო წვდომა 20/06/2019.

¹² იხ. ზემოთ, პარაგ. 138-139.

ევროპული სასამართლოს მიერ მოსამართლეთა სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების სრულყოფილად აღსრულებისთვის დამატებით სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც მოსამართლის გათავისუფლება უკანონოდ არის ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵⁴ -ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გადასინჯვა შეიძლება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. ამავე კანონის 75⁶²-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კანონი არ იცნობს რეგულაციას, როგორც წარსულში, ისე ამჟამად დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის გამო, მოსამართლის თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში, მისი თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ზემოთაღნიშნული საქმეების გადასინჯის პროცესში მიუთითა ანალოგიის წესით „საქართველოს შრომის კოდექსის“ გამოყენების შესახებ. მიუხედავად ამისა, ბუნდოვანია, როგორ უნდა განიმარტოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის უფლება იმ პირობებში, როდესაც სრულიად შეცვლილია მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების პროცედურა და ვადები. ასევე, ბუნდოვანია მოსამართლის აღდგენა ხდება თუ არა დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ავტომატურად, თუკი მისი გათავისუფლება უკანონოდ არის ცნობილი შესაბამისი გადაწყვეტილებით.

2014 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით, კანონი იცნობს (34-ე მუხლის მე-2 პუნქტი) დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამართლის კვლავ მოსამართლედ გამწესების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდა საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით თანამდებობიდან გათავისუფლება. კერძოდ, ყოფილ მოსამართლეს აქვს უფლება, მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც მოსამართლეობის კანდიდატმა, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსის გავლა. ამავე კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, ყოფილი მოსამართლე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება მხოლოდ უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 წლის გასვლამდე.

მოსამართლეების - გაბაიძის და ილიაშვილის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველად გამოყენებული გადაცდომა კანონით აღარ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ისინი ექცევიან ზემოაღნიშნული 34-ე მუხლის რეგულაციის ფარგლებში. თუმცა,

ცვლილებების განხორციელების დროს, მათ შემთხვევაში უკვე გასული იყო კანონით დადგენილი 10-წლიანი ვადა. ამიტომ, მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე, მათ არ შეუძლიათ ამ უფლებით სარგებლობა.

რაც შეეხება, მოსამართლე სტურუას, ვინაიდან არ გაუქმებულა საფუძველი, რისთვისაც მას დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით დისციპლინური სახდელის მისთვის დაკისრება მიჩნეულია კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევად, მომჩივანი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის უფლებამოსილი კვლავ დაიკავოს მოსამართლის თანამდებობა.

შესაბამისად, სტურუას საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილების სრულფასოვნად აღსრულების საკანონმდებლო მექანიზმი არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების საქმეების შესახებ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტიანად აღსრულებისათვის საჭიროა:

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დარეგულირდეს უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში მოსამართლეთა თანამდებობაზე აღდგენის საკითხები.
- საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოსამართლეებს, რომელთა საქმეებზეც დადგინდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევა, მათ შორის მოსამართლეებს - სტურუასა და გაბაიძეს, გადაიხედოს მათი დისციპლინური სამართალწარმოების საქმეები; ხანდაზმულობის ინსტიტუტი არ უნდა იყოს გამოყენებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების აღსრულების/საქმეთა გადასინჯვის დასაბრკოლებლად.

2. ზოგადი ღონისძიებები

ანგარიშის ამ ნაწილში საუბარია დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და მექანიზმის ხარვეზებზე, რაც საჭიროებს გამოსწორებას, იმისათვის, რომ მომავალში თავიდან იყოს აცილებული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა მოსამართლეების მიმართ.

2.1. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების გამოყენება პრაქტიკაში

სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. „მესამე ტალღის“ ფარგლებში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების რეფორმა.

რეფორმის შედეგად განხორციელებული ცვლილებები ძალაში 2018 წელს შევიდა. გაუქმდა კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი დარეგულირდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და ამოქმედდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი. ცვლილებები არ შეეხება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს. საფუძვლებთან მიმართებით, უკანასკნელი ცვლილება განხორციელდა 2012 წელს, როდესაც გაუქმდა დისციპლინური გადაცდომის სახე - მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა.

სასამართლო სისტემის რეფორმის მიმდინარე, ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში, ინიცირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც შეეხება, მათ შორის, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს. კანონპროექტი ითვალისწინებს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობას ბრალეულობის საფუძველზე (განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილი გადაცდომები).

რაც შეეხება დისციპლინური გადაცდომის სახეებს, კანონპროექტი მათაც სრულიად ახლებურად აყალიბებს. განსაზღვრულია რა ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, კეთილსინდისიერების, წესიერების, თანასწორობის, კომპეტენციისა და გულისხმიერების პრიციპების დარღვევად.¹³ დისციპლინური გადაცდომების სახეების ამგვარი განწერა სასურველია და მივესალმებით შემოთავაზებული ცვლილებების ამ სახით დამტკიცებას.

ვითვალისწინებთ რა დაგეგმილი ცვლილებების აუცილებლობას, ქვემოთ შემოგთავაზებთ დღეისთვის მოქმედ რეგულირებასთან და ხარვეზებთან დაკავშირებით ჩვენს ხედვას.

დღეს არსებული რეგულაციით, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს განსაზღვრავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლი, რომელიც ადგენს დისციპლინური გადაცდომის რვა სახეს:

ა) კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

¹³ იხ. კანონპროექტი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 12/06/2019, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/#law-drafting/18385>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

- ბ) მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა;
- გ) მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;
- დ) საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება;
- ე) მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- ვ) მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება;
- ზ) დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა;
- თ) სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

დისციპლინური გადაცდომის საფუძვლები კვლავ საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და დაზუსტებას. მათი ზოგადი ხასიათის და ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობის გამო, განსაკუთრებით პრობლემური რჩება დღეს მოქმედი შემდეგი საფუძვლები: მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

2.1.1. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების გამოყენების სტატისტიკა

წლების მიხედვით მოსამართლეთა წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა¹⁴ (2004-2012წწ.) აჩვენებს, რომ მოსამართლის მიმართ აღძრულ დისციპლინურ საქმეებში, მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, კანონის უხეშ დარღვევასთან ერთად ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველი იყო, ხოლო მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება და ეთიკის ნორმების დარღვევა ფორმალური და პრაქტიკაში ნაკლებად გამოყენებადი ჩანაწერის სახეს ატარებდა.

წელი	საჩივრების ოღენობა	კანონის უხეში დარღვევა	მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება	მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება	სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა
2004	127	58	54	-	-
2005	802	203	254	-	2
2006	251	63	89	-	-
2007	145	34	72	-	-
2008	133	79	35	-	1
2009	265	57	109	-	-
2010	33	21	11	-	-
2011	283	190	91	-	-

¹⁴ იხ. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდზე განთავსებული [სტატისტიკა](#). ბოლო წვდომა 20/06/2019.

2012	5	2012 წელს ეს საფუძველი გაუქმდა	5	-	-
2013	3	-	1	-	1

2014 წლიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოთხოვნის შესახებ საბჭოში შესული საჩივრების რაოდენობის და საფუძვლების შესახებ სტატისტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომი აღარ არის. ხოლო, განხილული საქმეების ოდენობა არსებითად არის შემცირებული წინა წლების მონაცემებთან შედარებით.

2014-2015 წლებში მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას არ განუხილავს არცერთი საქმე; 2013-2018 წლებში სადისციპლინო კოლეგიას განხილული აქვს ჯამში 8 საქმე¹⁵, აქედან 2 საქმე შეეხებოდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე („სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ (45729/05), „გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (13723/06)) საქმეების გადასინჯვას; ხოლო, დანარჩენ 6 საქმეში დისციპლინური დევნისთვის გამოყენებულია შემდეგი საფუძვლები:

- 4 საქმეში, მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, მოსამართლისთვის შეუფერებელ ქმედებასთან და სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევასთან ერთობლიობაში;
- 1 საქმეში, სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა;
- 1 საქმეში, საქმის განხილვის ვადების უსაფუძვლოდ გაჭიანურება.

წელი	კოლეგიის მიერ განხილული საქმეების ოდენობა	მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება	მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება	სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა	სხვა საფუძველი
2013	2	2	-	1	
2014	-	-	-	-	
2015	-	-	-	-	
2016	2	1	1	1	
2017	2	1		1	1
2018	2	-	-	-	2

¹⁵ იხ. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდზე განთავსებული სადისციპლინო კოლეგიის [გადაწყვეტილებები](#). ბოლო წვდომა 20/06/2019.

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმეების ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვისათვის, 2018 წელს გატარებული ცვლილებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემაში შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური. ინსპექტორის ფუნქციას წარმოადგენს შემოსულ საჩივრებზე, ასევე, საფუძვლის არსებობისას, საკუთარი ინიციატივით, პირველადი მოკვლევის ჩატარება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის შესაბამისი დასკვნების წარდგენა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებიდან 2018 წლის ბოლომდე, მოსამართლეთა წინააღმდეგ სულ შევიდა 318 საჩივარი. საჩივრებში დისციპლინური დევნის საფუძვლად მითითებული გადაცდომის სახეების სტატისტიკა ასე გამოიყურება:




როგორც სტატისტიკიდან ჩანს, **მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება** საჩივრებში კვლავ ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველია.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხოლოდ 33 შემთხვევაში მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.¹⁶ ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის შემდგომ, 33 საქმიდან, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის თებერვლის მონაცემებით, იმსჯელა 12 საქმეზე, რომელთაგან 8 საქმეზე შეწყვიტა დევნა, ხოლო 4 საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

¹⁶ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 04.02.2019 წერილი ორგანიზაციის მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მიმართვაზე.



(2018 წლის მაისი - 2019 წლის თებერვალი)

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზემოაღნიშნული 4 გადაწყვეტილება არ არის საჯარო, კანონით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის საფუძველით. ხელმისაწვდომია მხოლოდ ის 8 გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა.¹⁷

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებიდან 2018 წლის ბოლომდე წარმოებული ახალი სტატისტიკა აჩვენებს, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველი კვლავ არის - მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, გაზრდილია სამოსამართლო ეთიკის ნორმების საფუძველად გამოყენება, ხოლო მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება, როგორც საფუძველი, პრაქტიკაში კვლავ უმოქმედოა.

2.1.2. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების გამოყენება პრაქტიკაში და საერთაშორისო სტანდარტები

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი კვლავ აქტუალურია სასამართლო სისტემის რეფორმის „მეთხე ტალღის“ ფარგლებში. როგორც ჩვენთვის

¹⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საპასუხო წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მიმართვაზე (05.02.2019).

ცნობილია, ივეგმება დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების სრული გადასინჯვა და ახალი რეგულაციების მიღება. სწორედ ამიტომ, დროულად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ მიმოვიხილოთ დღევანდელი რეგულაციები, მათ საფუძველზე არსებული პრაქტიკა.

მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის შინაარსი არ კონკრეტდება არც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და არც „სამოსამართლო ეთიკის წესებით“. ამ მოცემულობაში, დისციპლინური გადაცდომების იმგვარი ზოგადი შინაარსი, როგორებიცაა: *მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა - საჭიროებს სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის პრაქტიკით განმარტებას. ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება რთულია იმ ფონზე, როდესაც სადისციპლინო კოლეგიის უკანასკნელი 7 წლის პრაქტიკა მხოლოდ 8 გადაწყვეტილებას ითვლის. თითქმის არ არსებობს პრაქტიკა მოსამართლისთვის შეუფერებელ ქმედებასა და სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევასთან დაკავშირებით.*

სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №1/03-12 წარმოადგენს სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის ზღვარის გაღვლების პირველ მცდელობას. კოლეგიის შეფასებით, სამართლებრივი შეცდომა არ შეიძლება გახდეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლის საფუძველი. სამართლებრივ შეცდომას მიეკუთვნება ისეთი ხასიათის შეცდომები, რომელთა გამოსწორება შესაძლებელია გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების გზით. ასევე, უსწორობის გამოსწორების შესაძლებლობა აქვს სასამართლოს, მათ შორის, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით. უმნიშვნელო შეცდომა, რომელსაც არ გამოუწვევია ზიანის მიყენება საჯარო წესრიგისთვის, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს დისციპლინურ გადაცდომად, „შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი - არის ძირითადი ფაქტორები, რაც ქმნის მიჯნას დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის“.¹⁸

მიუხედავად ამისა, კოლეგიის პრაქტიკა მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით არ არის თანმიმდევრული. ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული საპროცესო ნორმების დარღვევა ან განმარტება (მაგალითად მოსამართლის მიერ ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება) ხდება სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობის საგანი, ისეთ

¹⁸ იხ. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმე №1/03-12, 12/04/2013.

შემთხვევებშიც, როდესაც საკითხი ექვემდებარება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადასინჯვას.¹⁹

მოსამართლისთვის შეუფერებელ ქმედებასთან დაკავშირებით სადისციპლინო კოლეგიის მოკლე განმარტება გვხვდება მხოლოდ ერთ საქმეში. კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების მიხედვით: „ასეთ ქმედებად შეიძლება მიჩნეული იქნეს მოსამართლის მიერ არაეთიკური საქციელის ჩადენა, როგორც სასამართლოში, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ისე სასამართლოს გარეთ, რომელიც თავისი ბუნებით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს.“²⁰

სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევის შესახებ სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობაში²¹ გვხვდება მხოლოდ ეთიკის კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითება. მაშინ როცა, სამოსამართლო ეთიკის წესები არის მხოლოდ მოსამართლის ავტორიტეტისათვის სასურველად მიჩნეული ქცევის ამსახველი ზოგადი პრინციპები. ამიტომ, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად ეთიკის წესების დარღვევის გათვალისწინება არის ზოგადი და განუჭვრეტადი, რის დაზუსტებასაც არსებული დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან მიმართებით, მნიშვნელოვანია *ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის 19 ნოემბრის მოსაზრება N3*, მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევის და მიუკერძოებლობის შესახებ.²²

საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციით, მიზანშეწონილი არ არის მოსამართლეთა პროფესიული ქცევის სტანდარტების პირდაპირი დაკავშირება დისციპლინურ გადაცდომებთან, რომლებიც შესაძლოა გახდეს დისციპლინური სანქციის დაკისრების საფუძველი.²³ მოსამართლეთა ქცევის სტანდარტები ეხმარება მოსამართლეს, დაძლიოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული სირთულეები. ამგვარი პრინციპები უნდა იყოს თავად მოსამართლეთა მიერ შექმნილი თვითრეგულირების მექანიზმი

¹⁹ იხ. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმე №1/01-16, 20.05.2016, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://dcj.court.ge/uploads/Legislation/GEO-Legislation/sadisciplinokolegiis2016wlis20maisigadawyvetileba.pdf> ბოლო წვდომა 20/06/2019.

²⁰ იხ. იქვე.

²¹ იხ. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმე №1/01-16, 20.05.2016, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://dcj.court.ge/uploads/Legislation/GEO-Legislation/sadisciplinokolegiis2016wlis20maisigadawyvetileba.pdf> ბოლო წვდომა 20/06/2019.

²² იხ. Opinion no. 3 of the Consultative Council of European Judges (CCJE) to the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on the principles and rules governing judges' professional conduct, in particular ethics, incompatible behaviour and impartiality. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/16807475bb> ბოლო წვდომა 20/06/2019.

²³ იხ. იქვე, პარაგ. 60.

და გამოცალკევებული მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემისაგან.²⁴ პროფესიული ქცევის სტანდარტები წარმოადგენენ საუკეთესო პრაქტიკას, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს მოსამართლის პროფესიული ქცევა. პროფესიული ქცევის სტანდარტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოყენება, თუკი ისინი არ წარმოადგენენ სერიოზული ხასიათის უხეშ გადაცდომას, არის ქცევის სტანდარტების მიზნის არასწორი ინტერპრეტაცია და ხელს უშლის მათ შემდგომ განვითარებას.²⁵

*ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1994 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია No. R (94) 12*²⁶ მიუთითებს, რომ სასურველია დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები იყოს ზუსტი და კონკრეტული. დისციპლინური გადაცდომის გამო მოსამართლის გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ სერიოზული დისციპლინური გადაცდომების დროს.²⁷

ამასთან, „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე, *ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 ოქტომბრის N° 774/2014* დასკვნაში ხაზგასმულია რიგ ხარვეზებზე, რაც, რეფორმის „მესამე ტალღის“ გატარებისას არ იყო სრულყოფილად გათვალისწინებული:

- დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა დაზუსტდეს, ზოგადი მითითება სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევაზე, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველზე უნდა გაუქმდეს;²⁸
- ოუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინური მოკვლევის დაწყებისა და მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად დადგენილი კვორუმი - 2/3 არის მაღალი, საკმარისი იქნებოდა უბრალო უმრავლესობის გათვალისწინება;²⁹
- დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა გადაიხედოს და განისაზღვროს უფრო მკაფიოდ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი გამოყენება ისეთ

²⁴ იხ. იქვე, პარაგ. 49.

²⁵ იხ. იქვე, პარაგ. 60.

²⁶ იხ. RECOMMENDATION No. R (94) 12 OF THE COMMITTEE OF MINISTERS TO MEMBER STATES ON THE INDEPENDENCE, EFFICIENCY AND ROLE OF JUDGES. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804c84e> ბოლო წვდომა 20/06/2019.

²⁷ იქვე, Principle VI.

²⁸ იხ. Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and the Rule of Law (DGI) of the Council of Europe, on the draft Law on making changes to the Law on disciplinary Liability and disciplinary Proceedings of Judges of General Courts of Georgia, adopted by the Venice Commission at its 100th Plenary Session (Rome, 10-11 October 2014), para 18. ხელმისაწვდომია ბმულზე [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)032-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)032-e) ბოლო წვდომა 20/06/2019.

²⁹ იხ. იქვე, პარაგ. 24.

ინსტრუმენტად, რომელიც არ შეესაბამება დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის მიზნებს;³⁰

- ვინაიდან მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ საჩივრებში ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველია მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, პრაქტიკაში ასეთი ზოგადი საფუძვლის გამოყენება უნდა იყოს იმგვარი, რომ თავიდან იქნეს აცილებული საფუძვლების ფართო ინტერპრეტაცია.³¹

2.2. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შემდგომი დახვეწის საჭიროება

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის 19 ნოემბრის N3 მოსაზრების (68-ე პარაგრაფი) მიხედვით, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა უნდა იყოს ფორმალიზებული. დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირებას უნდა ახდენდეს სპეციალური ორგანო ან პირი, რომელიც მიიღებს საჩივრებს და გადაწყვეტს, უნდა დაიწყოს თუ არა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა.³²

აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ვენეციის კომისია უარყოფითად აფასებდა ერთი ორგანოს - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში იმგვარი ფართო უფლებამოსილებების თავმოყრას, როგორებიცაა: საჩივრის მიღება და განხილვა, დისციპლინური დევნის საგამოძიებო ეტაპი, დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. ვენეციის კომისიის შეფასებით, მსგავსი ფართო უფლებამოსილებები შეიცავს სამართლიანი განხილვის უფლების ხელყოფის მაღალ რისკს.³³ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შემოღების განზრახვა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებიდან არ არის გასული საკმარისი დრო იმისთვის, რომ შეფასდეს მისი მუშაობის ეფექტურობა. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში ფართო უფლებამოსილებების თავმოყრასთან დაკავშირებულ რისკებს არსებითად ვერ

³⁰ იხ. იქვე, პარაგ. 27.

³¹ იხ. იქვე, პარაგ. 29.

³² იხ. Opinion no. 3 of the Consultative Council of European Judges (CCJE) to the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on the principles and rules governing judges' professional conduct, in particular ethics, incompatible behaviour and impartiality, para 68. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/16807475bb> ბოლო წვდომა 20/06/2019.

იხ. იქვე, პარაგ. 60.

³³ იხ. Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and the Rule of Law (DGI) of the Council of Europe, on the draft Law on making changes to the Law on disciplinary Liability and disciplinary Proceedings of Judges of General Courts of Georgia, adopted by the Venice Commission at its 100th Plenary Session (Rome, 10-11 October 2014)., para 15-16. ხელმისაწვდომია ბმულზე [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)032-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)032-e) ბოლო წვდომა 20/06/2019.

ამცირებს ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღება შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51¹-ე მუხლის თანახმად:

- დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური შექმნილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემაში და წარმოადგენს მის ნაწილს;
- დამოუკიდებელ ინსპექტორს ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75⁶-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელ ინსპექტორს აქვს მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების უფლებამოსილება, რაც გულისხმობს მხოლოდ საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას და დასკვნების იუსტიციის უმაღლესი საბჭოსადმი წარდგენის უფლებას;
- დამოუკიდებელ ინსპექტორს არ აქვს არსებითი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. მის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებას კვლავ იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;³⁴
- საფუძვლიანობის შემოწმების შემდგომ, მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ, კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის და საქმის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში გადაგზავნის შესახებ.³⁵

დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის მხოლოდ წინასწარი მოკვლევის უფლებამოსილების მინიჭება, რომლის საფუძველზე გადაწყვეტილებას ისევ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს არ არის ერთი ორგანოს ხელში კონცენტრირებული ფართო უფლებამოსილებების დაბალანსების მექანიზმი.

გარდა ამისა, ინსპექტორის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ვენეციის კომისიის 2018 წლის 17 სექტემბრის No. 937 / 2018 დასკვნაში³⁶ მოცემული რეკომენდაცია, რომლის თანახმად: „დამოუკიდებელი ინსპექტორი უზრუნველყოფილი უნდა

³⁴ იხ. მუხლი 75⁸, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=34>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

³⁵ იხ. მუხლი 75¹³, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=34>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

³⁶ იხ. Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and the Rule of Law (DGI) of the Council of Europe, on the draft Law on making changes to the Law on disciplinary Liability and disciplinary Proceedings of Judges of General Courts of Georgia, adopted by the Venice Commission at its 100th Plenary Session (Rome, 10-11 October 2014). ხელმისაწვდომია ბმულზე [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)032-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)032-e) ბოლო წვდომა 20/06/2019.

იყოს დამოუკიდებლობის შესაბამისი გარანტიებით. დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებში, ერთ-ერთ საფუძვლად გათვალისწინებულია - მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება.³⁷ ეს საფუძველი არის ძალიან ბუნდოვანი, რადგან არ არის გათვალისწინებული რაიმე ობიექტური კრიტერიუმი, რომლითაც შეფასდება მოვალეობის ჯეროვანი/არაჯეროვანი შესრულება და იგი უნდა შეიცვალოს.³⁸

3. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო მექანიზმების გადანყვეტილებების ეფექტიანად აღსრულებისთვის, ასევე, ახალი დარღვევების პრევენციისთვის, საჭიროა დამატებითი ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების გატარება:

- ხანდაზმულობის ვადები არ უნდა იყოს გამოყენებული მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმეების გადასინჯვის დამაბრკოლებლად; ხოლო, არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინება;
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა უნდა გაითვალისწინოს უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში მოსამართლის თანამდებობაზე აღდგენის საკითხები;
- გადახედვას და დაკონკრეტებას საჭიროებს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი საფუძვლები - მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევაზე ზოგადი მითითება;
- უნდა გადაიხედოს და გაძლიერდეს დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებები, მათ შორის, წინასწარი მოკვლევის უფლებამოსილება; გადაიხედოს და შეიცვალოს მისი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები, დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხით უზრუნველსაყოფად.;
- უნდა გადაიხედოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე გადანყვეტილების მისაღებად დადგენილი კვორუმი;
- აუცილებელია, არაიდენტიფიცირებადი ფორმით, ხელმისაწვდომი გახდეს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი დასკვნები, იმ ფონზე, როცა ისინი არ არის სავალდებულო იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის.

³⁷ იხ. მუხლი 51¹ მე-6 პუნქტის თ ქვეპუნქტი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

³⁸ იხ. Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and the Rule of Law (DGI) of the Council of Europe, on the draft Law on making changes to the Law on disciplinary Liability and disciplinary Proceedings of Judges of General Courts of Georgia, adopted by the Venice Commission at its 100th Plenary Session (Rome, 10-11 October 2014), para 51. ხელმისაწვდომია ბმულზე [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)032-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)032-e) ბოლო ნვდომა 20/06/2019.

III. .ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დარღვევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმისწარმოებისას ევროპული სასამართლოს მიერ შეფასებულია 2009 წლის 15 ივნისს მშვიდობიანი აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლის შედეგად გასაჩივრებულ საქმეებში: „შპს სტუდია მაესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N22318/10), 30/06/2015); „გიორგი ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N312/10), 15/09/2015), რომლებიც ე.წ. ცინცაბაძის ჯგუფის განჩინებებს მიეკუთვნება და „მენაბდე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N4731/10), 13/10/2015).

ამ საქმეებში საქართველოს მთავრობამ აღიარა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა სამ მომჩივანთან მიმართებით (მ. ჭიქაშვილი, მ. მესხი და გ. ჩითარიშვილი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილის გადაწყვეტილებების გამო.

2018 წლის სექტემბერში ცინცაბაძის ჯგუფის (მათ შორის, „შპს სტუდია მაესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N22318/10), 30/06/2015) და „გიორგი ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი N312/10), 15/09/2015) საქმეების აღსრულების საკითხის შეფასებისას, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ხაზი გაუსვა ეროვნული სასამართლოების მიერ ამ საქმეების განხილვისას დაშვებულ დარღვევებზე. კერძოდ, ინციდენტში ჩართულ პოლიციელთა ჩვენებებზე სასამართლოს გადაწყვეტილებების დაყრდნობა მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევად ჩაითვალა.³⁹

ზემოაღნიშნულ საქმეებში ევროსასამართლოს განჩინებების ეფექტიანი აღსრულება, ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში, გულისხმობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ხარვეზების გამოსწორებას, რომელთა შედეგაც არის სასამართლო განხილვის პროცესში სამართლიანი სასამართლო გარანტიების დარღვევა.

ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებზე ეროვნული სასამართლოს დადგენილებების დაფუძნება განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში. ეს განპირობებულია, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული ხარვეზებით, ასევე თავად საერთო სასამართლოების პრაქტიკით.

³⁹ იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შეფასება ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე, 09/2018, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.exec.coe.int/eng/?i=004-5830> ბოლო წვდომა 20/06/2019.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზებზე საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ, მათ შორის 2018 წლის ანგარიშში⁴⁰ და „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადებებში.⁴¹ ომბუდსმენის შეფასებით:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სამართალდამრღვევად ცნობისთვის კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტის და მტკიცების ტვირთის არარსებობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პრობლემებს იწვევს. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია და შებლონური ხასიათი აქვს: პირის ქმედება ნორმაში აღწერილ სამართალდარღვევას არ შეესაბამება; დადგენილებები მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებსა და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავის განმარტებას ეყრდნობა; სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში, წლების განმავლობაში, ძირითადად ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს; ვიდეოჩანაწერის (ნეიტრალური მტკიცებულების) არარსებობისას და მტკიცებულებათა სტანდარტის არარსებობის პირობებში, კოდექსი მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უპირატესი დაცვის მიზნებს არ ემსახურება. კოდექსში მტკიცებულების ცნების განსაზღვრის, მტკიცებულებათა სახეების ჩამონათვალის მიუხედავად, განსაზღვრული არ არის მათი მოპოვების წესები. კოდექსი არ განსაზღვრავს მტკიცებულებათა შეფასების წესს, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია დადგენილი (დასაშვებობა, რელევანტურობა, უტყუარობა), გარდა მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით, მათი ერთობლიობით შეფასებისა. გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად პირის ცნობისთვის საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტის არარსებობა, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის პრაქტიკაში. ამასთან, დადგენილებაში საქმის განხილვისას დადგენილ ვარაუდებთან დამადასტურებელი მტკიცებულებების მითითების ვალდებულების არარსებობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობას განაპირობებს.“⁴²

⁴⁰ იხ. [საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში](#) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 132.

⁴¹ იხ. Letter to Clement Nyaletsossi Voule Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and association, Coalition for an Independent and Transparent Judiciary, 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://emc.org.ge/en/products/koalitsia-damoukidebeli-da-gamchvirvale-martlmsajulebistvis-gaeros-gaeros-spetsialur-momkhsenebels-klement-nialetsos-vulus-mimartavs> ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁴² იხ. [საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში](#) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 132.

ხარვეზები განსაკუთრებით თავს იჩენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, კონსტიტუციის 42-ე მუხლისთვის მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წელს ამ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა 2 889 საქმე.⁴³

წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა 2018 წელს ბოლო 6 თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები; კერძოდ, საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებთან დაკავშირებით მიღებული 32 დადგენილება.

დადგენილებების ანალიზი აჩვენებს მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტთან დაკავშირებულ როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის პრობლემებს.

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული რეგულირების ხარვეზი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოების პროცედურული საკითხები დარეგულირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. სამართალდარღვევათა კოდექსის XXI თავი, სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შესახებ, სათანადოდ არ არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მხარეებზე მტკიცების ტვირთის განაწილება და სამართალდამრღვევად პირის ცნობისთვის საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტი, როგორცაა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი და უდანაშაულობის პრეზუმფცია.⁴⁴ ამასთან, საქმის განხილვის შემჭიდროებული ვადები ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი წარმომადგენლობის განხორციელებას. ეს გარემოება საყურადღებოა განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდარღვევათა კოდექსის ორივე ზემოთ დასახელებული მუხლი (166-ე და 173-ე), სანქციის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, რომელიც თავისი ბუნებით სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა და საჭიროებს უფრო ძლიერი საპროცესო გარანტიების არსებობას.

მუხლი 236. მტკიცებულებანი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის

⁴³ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის N3-0111/2815533 წერილი.

⁴⁴ იხ. ასევე, არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე, საია, 2019, გვ. 21. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://gyla.ge/files/news/2006/Report.%20Geo.pdf> ბოლო წვდომა 20/06/2019.

ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადანწყვეტისათვის.

2. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

მუხლი 237. მტკიცებულებათა შეფასება

ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევებზე მათ ერთობლიობაში.

ზემოაღნიშნული მუხლების ფორმულირება იძლევა მტკიცებულებათა სტანდარტის ფართოდ ინტერპრეტაციის შესაძლებლობას; კერძოდ იმგვარად, რომ ცალკე აღებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თავად მიიჩნევა მტკიცებულების სახედ და რიგ შემთხვევებში, ბრალის დამამტკიცებელ საკმარის მტკიცებულებად. მუხლი არ შეიცავს მითითებას რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი გამყარებული უნდა იყოს ნეიტრალური მტკიცებულებებით, თუკი ასეთი შესაძლებლობა არსებობს. ამასთან, სამართალდარღვევის ოქმის, როგორც საკმარისი მტკიცებულების მიჩნევის შეზღუდვა, არ არის უზრუნველყოფილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტის ასახვით.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, შესაძლებელია კოდექსი შეიცავდეს მსგავსი შინაარსის ჩანაწერს: „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით და ვერ იქნება გამყარებული ნეიტრალური მტკიცებულებებით უნდა გადანყდეს სამართალდამრღვევის სასარგებლოდ.“

ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც საჭიროა გაჩნდეს ჩანაწერი რომლის მიხედვითაც, „სამართალდარღვევის ჩადენის მტკიცების ტვირთი ეკისრება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს.“

მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოების მიერ სათანადო შეფასება ეძლეოდეს ისეთ გარემოებას, როდესაც ოქმის შემდგენს აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს ნეიტრალური მტკიცებულებები (მაგ. სამხრე კამერების გამოყენებით), თუმცა არ იყენებს ამ შესაძლებლობას.

მტკიცებულებათა სტანდარტის შესახებ ამგვარი მწირი რეგულირება აისახება საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე.

გარდა ამ ხარვეზისა, საერთო სასამართლოების დადგენილებების დაუსაბუთებლობას ხშირად განაპირობებს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქმის

წარმოების წესის თანახმად, უფლებამოსილი თანამდებობის პირი სამართალდარღვევის ოქმში უთითებს მხოლოდ დამრღვევის და ოქმის შემდგენის შესახებ ინფორმაციას, ჩადენილი სამართალდარღვევის აღწერას [ფაქტს] და დამრღვევის ახსნა-განმარტებას⁴⁵. შესაბამისად, სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულება შესაძლოა საერთოდ არ იყოს ოქმში მითითებული. სასამართლოში საქმის განხილვისას კი მტკიცებულებას, როგორც წესი, წარმოადგენს თავად ოქმის შემდგენის ახსნა-განმარტება და სამართალდარღვევის ოქმი.

2. საერთო სასამართლოების პრაქტიკით დამკვიდრებული მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი

ორგანიზაციის მიერ შესწავლილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 32 საქმეზე⁴⁶, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობის გამო საქმის წარმოება შეწყდა 2 შემთხვევაში, 6 შემთხვევაში პირმა აღიარა სამართალდარღვევის ჩადენა, ხოლო 24 შემთხვევაში სამართალდამრღვევი არ ეთანხმებოდა და სადაოდ ხდიდა პოლიციელის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას და სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს.

ფაქტების სადაოდ გახდის დროს, სასამართლო დადგენილებებში განვითარებულია მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეფასების ერთგვაროვანი სტანდარტი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „პოლიციელის ჩვენების სანდოობის პრეზუმფცია“ :

„სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობის საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიულ ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. სასამართლოს მოსაზრებით, სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია, არ გამოორიცხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას ან არაობიექტური შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას [...] სხვა მონშის ჩვენებისაგან, ახსნა-განმარტებისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებს ეხება, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, როგორც წესი, შეიცავს არა მხოლოდ ცნობებს გარკვეული მოვლენების მიმართ, არამედ ავრეთვე დასკვნებს და განმარტებებს მის შესახებ, მისი ჩვენების ღირებულება განისაზღვრება არა მხოლოდ პროფესიული მოვალეობის

⁴⁵ იხ. მუხლი 240, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

⁴⁶ კვლევის მიზნებისთვის, ორგანიზაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებთან დაკავშირებულ საქმეებზე 2018 წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოტანილი დადგენილებები.

*აღსრულების შედეგად ცნობილად გამხდარი ფაქტების მიუკერძოებელი გადმოცემით, არამედ ამ ფაქტების ახსნის, ფაქტებიდან დასკვნის გამოტანის უნარით.*⁴⁷

ამ განმარტებიდან ნათელია, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას, სასამართლო პოლიციის თანამშრომლის ჩვენებას ყველა სხვა პირის ჩვენებაზე აღმატებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლთან (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის ან განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა) დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა ასევე აჩვენებს, რომ როგორც წესი, საქმეებში არ იკვეთება, რა წარმოადგენს თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას. ხშირ შემთხვევაში, მოსამართლეები არ ამოწმებენ მოთხოვნის კანონიერებას იმ კუთხით, თუ რა გარემოებები თუ წინაპირობა არსებობდა სამართალდამცავის მიერ ასეთი მოთხოვნის გასაცემად. სასამართლოები, როგორც წესი, ასეთი მოთხოვნის კანონიერებას ასაბუთებენ ფორმალურად, იმ საფუძვლით, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს გააჩნია მითითების ზოგადი უფლებამოსილება⁴⁸:

„სასამართლო აღნიშნავს, რომ დაუმორჩილებლობის ფაქტი დადასტურებულია მხარეთა განმარტებებით და საქმის განხილვის ხანმოკლე ვადის გამო სასამართლო არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, დამატებით გამოითხოვოს სამხრე ვიდეოკამერის ჩანაწერი, რათა დაადგინოს, გადაავდო თუ არა მტკვარში ----- კუთვნილი ნივთი. სასამართლო თვლის, რომ ამ ფაქტის დადგენის გარეშე სახეზეა სამართალდარღვევის ნიშნები [...] იურიდიული განათლების არმქონე პირთათვის, შესაძლოა, რთული იყოს პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნის კანონიერების შეფასება. თუკი თითოეული მათგანი ეჭვქვეშ დააყენებს პოლიციელის მოთხოვნის კანონიერებას თუ მიზანშეწონილობას და ამის გამო არ დაემორჩილება მათ, ეს საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავ ორგანოთა გამართულ და შეუფერხებელ საქმიანობას, რაც პირდაპირ აისახება საზოგადოებრივ მართლწესრიგზე. შესაბამისად, მოქალაქემ უნდა იმოქმედოს იმ მოცემულობით, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი მოქმედებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თუკი მისი მოქმედება ან მოთხოვნა რაიმე აშკარა კანონსაწინააღმდეგო ნიშნებს არ შეიცავს. შესაბამისად, მისი მოთხოვნისადმი დამორჩილება ნებისმიერი

⁴⁷ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ არაიდენტიფიცირებადი ფორმით მოწოდებული დადგენილება, 13/07/2018.

⁴⁸ იხ. ასევე „მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს ბატონ კლემენტ ნიალეტსოს ვულუს“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, გვ. 5, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://gylla.ge/files/news/2006/Special+Rapporteur+letter+-+Geo.pdf> ბოლო წვდომა 20/06/2019.

პირის მოქალაქეობრივ ვალდებულებას წარმოადგენს, რომლის დარღვევისთვისაც დადგენილია შესაბამისი პასუხისმგებლობა.⁴⁹

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ნამსჯელი აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებში მტკიცებულებათა გამოკვლევისას სასამართლოს ფუნქციის და პოლიციელის ჩვენების სანდოობის საკითხზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ:

„სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს მონშეთა აუცილებელ დასწრებას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, აღეკვატურად და ობიექტურად შეათვასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია არ გამოირიცხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას, მიკერძოებას ან არაობიექტურ შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას (შესაძლებლობას). [...] საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობით საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებისაგან. უპირველესად, მისი მომზადების და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით. მტკიცებულებათა ამგვარი სიმწირის პირობებში სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს არსებობს თუ არა სადავოდ გამხდარი გარემოების სხვა უშუალო მტკიცებულებები. სასამართლომ არ შეათვასა თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტება, არ დაკითხა მონშეებად თავად პატრულ-ინსპექტორი, მოსარჩელის ავტომანქანაში მყოფი თანამგზავრი, არ გამოიკვლია პატრულ-ინსპექტორის მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სათანადო უნარ-ჩვევების დამამტკიცებელი გარემოება /პოლიციის მოხელის პირადი საქმე/, არ მოუწვევია სპეციალისტი, რათა გაერკვია, რამდენად შესაძლებელი იყო პოლიციელს მაქსიმალურად ზუსტად აღეჭვა სამართალდარღვევის ფაქტი, იმ მანძილიდან, მიმართულებიდან, როგორც ეს აღწერა /რასაც სადავოდ ხდის მოსარჩელე/

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ წერილობითი სახის მტკიცებულებათა პრაქტიკულად არარსებობის პირობებში უნდა მოიპოვოს ზეპირი სახის მტკიცებულებები და სსსკ-ის 105-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, ობიექტური შეფასება უნდა მისცეს მათ.

⁴⁹

⁴⁹ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ არაიდენტიფიცირებადი ფორმით მონოდებული დადგენილება, 14/07/2018.

⁵⁰ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე #ბს-1635-1589(კ-08) გვ.29-30, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/admin-2010-06-uni.pdf>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

საერთო სასამართლოების მიდგომა პრობლემურია მტკიცების ტვირთის გადანაწილების კუთხითაც. ვინაიდან სამართალდამცავის ახსნა-განმარტება და სამართალდარღვევის ოქმი საერთო სასამართლოების მიერ სარწმუნო მტკიცებულებებად განიმარტება, მონინალმდევე მხარეზე (სავარაუდო სამართალდამრღვევზე) გადადის ოქმში დაფიქსირებული გარემოებების არარსებობის მტკიცების ტვირთი, რაც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნას. ეს მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ სამართალდამცავის ახსნა-განმარტება მიიჩნევა სარწმუნოდ, ხოლო პირის ახსნა-განმარტება ყოველთვის მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეიძლება გახდეს სარწმუნო⁵¹:

„[...] ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებას,- აღნიშნული ვერ იქნება სრულად გაზიარებული, ვინაიდან მის მიერ მონოღებული ინფორმაცია, შესაძლოა ნაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების და სხვა ქვენაგრძობით. ასეთი პირის ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, ის გარემოება, რომ საქმის გადანწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისათვის კანონმდებელი არ ითხოვს სხვა მონშეთა სავალდებულო დასწრებას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, რათა ადეკვატურად შეაფასოს მოვლენა. მისი ახსნა-განმარტება თვით სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის ხილვით, თანდასწრებით არის შექმნილი და სხვა მონშეების ჩვენებებისაგან განსხვავებით, სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის ჩვენებას, რომელიც უშუალოდ შეესწრო სამართალდარღვევას, ყოველთვის აქვს უშუალო კავშირი საქმესთან, შეიცავს სასამართლოს მიერ შესაფასებელი ფაქტების შესახებ ინფორმაციას.“⁵²

3. გარანტიები „ნეიტრალური მტკიცებულებების“ შექმნის უზრუნველსაყოფად

ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ სამხრე ვიდეო კამერების გამოყენება, რაც რეგულირდება საქართველოს კანონით „პოლიციის შესახებ“ და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით. კანონის 27-ე მუხლით პოლიციელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, ფორმის ტანსაცმელზე გამოიყენოს ვიდეო კამერა; თუმცა, სამართალდარღვევის ყველა ფაქტის დაფიქსირებისთვის კამერის გამოყენების ვალდებულება

⁵¹ იხ. ასევე „სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება“, [ანგარიში](#), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016, გვ 8; იხ. ასევე, „არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე“, [ანგარიში](#), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, გვ. 21.

⁵² იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ არაიდენტიფიცირებადი ფორმით მონოღებული დადგენილება, 07/11/2018.

არ არის განსაზღვრული. სამხრე ვიდეო კამერის გამოყენება ასევე პოლიციელის უფლებამოსილებად არის განსაზღვრული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციით.⁵³

პრაქტიკაში, პოლიციელები, როგორც წესი, სამართალდარღვევის ფაქტს არ აფიქსირებენ სამხრე კამერით უწყვეტი ვიდეოგადაღებით.⁵⁴ კამერით გადაღებული ფაქტები, ხშირად ფრაგმენტულია და არ ასახავს პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, რადგან ვიდეოს გამოყენება იწყება პირთან კონტაქტში შესვლის შემდეგ. შესაბამისად, წყვეტილი ვიდეოჩანაწერით ვერ ფასდება, რამდენად კანონიერი იყო პოლიციელის მიერ მოქალაქისთვის წაყენებული მოთხოვნა ან ასეთი მოთხოვნის საფუძველი. ეს გარემოება განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეები ხშირად უთითებენ სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო დამოკიდებულებასა და შეურაცხყოფაზე, რაც ხდება სამართალდამცავებთან კონფლიქტის მიზეზი, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთან გამო, ვერ ხერხდება სასამართლო განხილვისას მათი დადასტურება.

4. დასკვნა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში, სამართლიანი სასამართლო განხილვის სტანდარტების დასაცავად, საჭიროა როგორც საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა, ასევე სასამართლო პრაქტიკის ცვლილება.

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უნდა განისაზღვროს მტკიცების ტვირთის განაწილების და მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტი იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა და მტკიცებულებათა შეფასება „გონივრულ ეჭვს მიღმა“. სასურველია კოდექსს დაემატოს ჩანაწერი, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გარანტიები დაუახლოვდება სისხლის სამართლის კოდექსით განმტკიცებულ სტანდარტებს: *„მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით და ვერ იქნება გამყარებული ნეიტრალური მტკიცებულებებით უნდა გადაწყდეს სამართალდამრღვევის სასარგებლოდ.“* ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც უნდა გაჩნდეს

⁵³ იხ. მუხლი 14, 1ა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1310, 2005 წლის 15 დეკემბერი.

⁵⁴ იხ. არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, გვ. 22. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://gyla.ge/files/news/2006/Report.%20Geo.pdf>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

ჩანაწერი რომ „სამართალდარღვევის ჩადენის მტკიცების ტვირთი ეკისრება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს.“

- კოდექსის ჩანაწერი უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ სამართალდარღვევის ოქმი ითვალისწინებდეს პოლიციელის მიერ, სამართალდარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვების და ოქმში მითითების ვალდებულებას, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს.
- სასამართლო განხილვისას პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომა - პოლიციელთა ჩვენებების, როგორც მტკიცებულების პრივილეგირება - უნდა შეიცვალოს „ნეიტრალური მტკიცებულებების“ სტანდარტით.
- კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განხილვისას, პოლიციელის მოთხოვნის კანონიერებას სასამართლო უნდა ამოწმებდეს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, პოლიციელის მიერ გაკეთებული მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებით; კანონიერი მოთხოვნის არსებობა არ უნდა დგინდებოდეს მხოლოდ პოლიციელის ზოგად უფლებამოსილებებზე მითითებით.
- „ნეიტრალური მტკიცებულებების“ შექმნის მიზნით, სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, პოლიციელს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში, უწყვეტ რეჟიმში გამოიყენოს სამხრე ვიდეო კამერა, რაც შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანას საჭიროებს.

IV. დანაშაულის პროვოცირება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, მტკიცებულების მოპოვება იმგვარი გზით, როგორცაა დანაშაულის პროვოცირება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას წარმოადგენს. დანაშაულის პროვოცირება გულისხმობს, საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლების მიერ აქტიური ქმედებებით, პირის მიყვანას დანაშაულის ჩადენამდე, რომელიც სხვაგვარად არ იქნებოდა ჩადენილი. ევროპულ სასამართლოს, მთელ რიგ გადაწყვეტილებებში დადგენილი აქვს სტანდარტი, თუ როგორ უნდა განიმარტოს საგამოძიებო ორგანოების მოქმედების დასაშვები ფარგლები და რა შედეგებს უნდა უკავშირდებოდეს ამ ფარგლების დარღვევით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები.⁵⁵

⁵⁵ იხ. *inter alia*, RAMANAUSKAS v. LITHUANIA, საქმე 74420/01, 05/02/2008, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-84935>, იხ. Eurofinacom v. France, საქმე 58753/00, 07/09/2004, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://echr.ketse.com/doc/58753.00-en-20040907/view/>, იხ. Teixeira de Castro v. Portugal, (44/1997/828/1034) 09/06/1998, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58193>, იხ. BANNIKOVA v. RUSSIA, საქმე 18757/06, 04/11/2010 ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-101589>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ გამოტანილ გადაწყვეტილებაში კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა, ფარული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამო.

ევროსასამართლოს აზრით: *“არ არსებობდა საკმარისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მოაწესრიგებდა მომჩივნის წინააღმდეგ ფარული ოპერაციის დაწყებას, საქმიანობის ფარგლებში ფარული აგენტები არ მოქმედებდნენ მკაცრად პასიური ფორმით, პროკურატურამ ვერ შეასრულა დაკისრებული მტკიცების ტვირთი და სასამართლომ სათანადოდ არ განიხილა მომჩივნის დასაბუთებული არგუმენტი დანაშაულის პროვოკაციის შესახებ.”*⁵⁶

შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა სამართლიანი სასამართლოს ცნებას და ადგილი ჰქონდა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევას.

ევროსასამართლოს შეფასებით, ჭოხონელიძის წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, პროკურატურას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი დანაშაულის პროვოკირების შესახებ მომჩივნის მტკიცების უარსაყოფად. სასამართლოს აზრით, პროკურატურის სრული დუმილი შეიძლება აიხსნას დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესრულების ობიექტური შეუძლებლობით, ვინაიდან ფარული ოპერაცია განხორციელდა ფორმალური ავტორიზაციისა და ზედამხედველობის გარეშე. ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარული აგენტის მომჩივანთან გაგზავნა, არ მომხდარა სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების ან ზედამხედველობის ფარგლებში.⁵⁷

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი მიუთითებს ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობაში გასატარებელი ცვლილებების აუცილებლობაზე.

ჭოხონელიძის საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 2018 წლის სექტემბერში, მას შემდეგ რაც გავიდა დიდ პალატაში მისი გასაჩივრების სამ თვიანი ვადა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების სამოქმედო გეგმის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისათვის წარდგენის ვალდებულება აქვს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში.⁵⁸ სამოქმედო გეგმის წარდგენის დადგენილი ვადა გავიდა 2019 წლის 28 აპრილს,

⁵⁶ იხ. ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ, საქმე no. 31536/07, 28/06/2018, პარაგ. 53, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/choxonelidze-saqartvelos-winaagmdeg.pdf> ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁵⁷ იხ. იქვე.

⁵⁸ მუხლი 46 (2) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მინისტრთა კომიტეტის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობის წესი, ხელმისაწვდომია ბმულზე

თუმცა, იუსტიციის სამინისტროს მინისტრთა კომიტეტისათვის ჭოხონელიძის საქმის აღსრულების სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ არ აქვს წარდგენილი.

რაც შეეხება ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის გადასინჯვის კუთხით გადაწყვეტილების აღსრულებას, განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის ხელახალი გადასინჯვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი წლის ვადაში. ჭოხონელიძის საქმის შემთხვევაში ეს ვადა იწურება 2019 წლის 28 სექტემბერს. ჩვენი ინფორმაციით, განმცხადებელს ჯერ ამ უფლებებით არ უსარგებლია.

1. ეროვნული კანონმდებლობა და ევროსასამართლოს პრაქტიკა დანაშაულის პროვოცირების საკითხზე

საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც გაკრიტიკებულია ჭოხონელიძის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. თუმცა, კანონმდებლობამ მას შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა. დღეს მოქმედი რეგულაციებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებსა და მათი ჩატარების წესს, კერძოდ, ასეთი მოქმედებები მხოლოდ სასამართლოს ნებართვით შეიძლება ჩატარდეს. რაც შეეხება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, მათზე ვრცელდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან, მათ შორის დანაშაულის პროვოცირების პრევენციის კუთხით, კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არ იცნობს მოქმედებების დაყოფას ფარულ საგამოძიებო მოქმედებებად და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებად, როგორც ეს ქართული კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. შესაბამისად, დანაშაულის პროვოცირების წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, ერთნაირად ვრცელდება ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ორივე სახის, ფარულ-საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის პროვოკაცია ცალკე დანაშაულის სახედ არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. პროვოკაცია განიმარტება, როგორც „სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით“.⁵⁹ კოდექსი არ განმარტავს, თუ რას გულისხმობს კანონმდებელი „დაყოლიებაში“. ასევე, აკადემიური წრის წარმომადგენელთა აზრით, ის ფაქტი, რომ მუხლი ყველა სიმძიმის დანაშაულის პროვოცირებისათვის ერთი და

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016806dd2a5&fbclid=IwAR3MVI5YFNU3qZKc-Wse57d8vK7e8ftvJWoLhn3RbwAolO9C6ZJCrDo0H9c, ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁵⁹ იხ. მუხლი 145, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

იმავე სანქციას აწესებს, დანაშაულის პროვოცირების, როგორც ცალკე ტიპის დანაშაულის პრევენციის და შეკავების თვალსაზრისით არასაკმარისია.⁶⁰

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ დღეს მოქმედი კანონი ითვალისწინებს 11 სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას.⁶¹ მათი ჩატარების საფუძველია „პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის დავალება მის/მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ.“⁶² ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება არ მოითხოვს სასამართლოს ნებართვას.

კანონი გვთავაზობს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების სხვადასხვა სახეების მხოლოდ ჩამონათვალს. რაც შეეხება მათ გამოყენებას, ყველა სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაზე ვრცელდება მისი დაწყების და ზედამხედველობის ერთიანი წესი, მაშინ, როდესაც ზოგიერთი მათგანი შესაძლოა მეტ დასაბუთებას და ლეგიტიმაციას საჭიროებდეს. კანონით არ არის განერილი ავტორიზაციის დეტალური პროცედურა, რაც, შემდგომში ართულებს დანაშაულის პროვოცირების შესახებ ბრალდებულის განაცხადის სასამართლოს მიერ გადამონშების შესაძლებლობას, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების კანონიერების კუთხით. კანონი არ ითვალისწინებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაწყების შესახებ პროკურორის (პროკურორის თანხმობით გამომძიებლის) დავალების დასაბუთების ვალდებულებას.

დანაშაულის პროვოცირების საკითხის პრევენციისთვის, ევროსასამართლო არსებითად მიიჩნევს საგამომძიებო მოქმედებების კონტროლისა და ზედამხედველობის ქმედითი მექანიზმების არსებობას. იმისთვის, რომ არ წარმოიშვას დანაშაულის პროვოცირების პრევენციის, აუცილებელია, საგამომძიებო მოქმედების ავტორიზაციის, ჩატარების და

⁶⁰ იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, წიგნი I, მეხუთე გამოცემა, გვ. 297

⁶¹ იხ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7: ა) პირის გამოკითხვა; ბ) ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი; გ) საკონტროლო შესყიდვა; დ) კონტროლირებადი მიწოდება; ე) საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა; ვ) პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება); ზ) დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა; თ) ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება ; ი) (ამოღებულია - 01.08.2014, N2635); კ) დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა; ლ) დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა. მ) ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი – გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა, ასევე უკანონო კომპიუტერული მონაცემის მიღების სიტუაციის შექმნა, რომელიც ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას.

⁶² იხ. იქვე, მუხლი 8.

ზედამხედველობის ნათელი და განჭვრეტადი პროცედურა, ასევე, ასეთი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება.⁶³

ზემოაღნიშნული მიდგომა, როგორც სტანდარტი ევროპულმა სასამართლომ მთელ რიგ გადაწყვეტილებებში განავითარა:

საქმეში „ევროფინაკომი საფრანგეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა რომ მართალია *გამოძიების ეტაპზე ანონიმური ინფორმატორის გამოყენება დასაშვებია, თუმცა იმ პირობით, რომ ამგვარი საშუალების გამოყენება სათანადოდ რეგულირებული და შეზღუდულია.*⁶⁴

პორტუგალიის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ არსებითი ხასიათის დარღვევად მიიჩნია გარემოება, როცა საგამოძიებო მოქმედება განმსხადებლის წინააღმდეგ სასამართლოს ნებართვის და მისი ზედამხედველობის გარეშე განხორციელდა; ასევე, ვერ დადასტურდა რა ობიექტური გარემოებების საფუძველზე დაიწყო განმსხადებლის წინააღმდეგ კონკრეტული მოქმედებები.⁶⁵

საქმეში „რამანაუსკასი ლიტვის წინააღმდეგ“ სასამართლო მიუთითებს, რომ საგამოძიებო ოპერაციის ყველა ეტაპზე შესაბამისი ორგანოები პასუხისმგებელნი არიან მათი მოქმედებების კანონიერებაზე. ოპერაციის კანონიერებისთვის აუცილებელია *სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს ან სასამართლო ზედამხედველობის არსებობა. არასათანადოდ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შემდგომი ფორმალური ლეგიტიმაცია, ეწინააღმდეგება კანონიერების მოთხოვნას.*⁶⁶

ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, სასამართლო არ უთითებს პროვოცირების საკითხის განხილვის რომელიმე კონკრეტული ფორმას. სასამართლო აყალიბებს ძირითად პრინციპებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს დანაშაულის პროვოცირების შესახებ დაცვის მხარის განაცხადის ეროვნული სასამართლოების მიერ განხილვისას. აქვე აღსანიშნავია, რომ საქმეში „ედვარდსი და ლუისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ორივე შედეგი (საქმის განხილვის შეწყვეტა, პროვოცირების შესახებ შინაარსობრივი არგუმენტის არსებობის

⁶³ იხ. RAMANAUSKAS v. LITHUANIA, საქმე 74420/01, 05/02/2008, პარაგ. 53, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-84935>, ბოლო წვდომა 20/06/2019. იხ. ასევე, „[დანაშაულის პროვოცირების აკრძალვა](#)“, ანგარიში, საქართველოს იურიდიული ფორუმის ასოციაცია, 2017 ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁶⁴ იხ. Eurofinacom v. France, საქმე 58753/00, 07/09/2004, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://echr.ketse.com/doc/58753.00-en-20040907/view/> ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁶⁵ იხ. Teixeira de Castro v. Portugal, (44/1997/828/1034) 09/06/1998, პარაგ. 38, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58193>, ბოლო წვდომა 20/06/2019. იხ. ასევე Human rights and criminal procedure, The case law of the European Court of Human Rights, გვ. 127, ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.echr.coe.int/documents/pub_coe_criminal_procedure_2009_eng.pdf ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁶⁶ იხ. RAMANAUSKAS v. LITHUANIA, საქმე 74420/01, 05/02/2008, პარაგ. 63, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-84935>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

საფუძვლით ან პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების ამორიცხვა საქმის მასალებიდან) დანაშაულის პროვოკაციაზე რეაგირების შესაფერის ზომად მიიჩნია.⁶⁷

ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა კვლავ ხარვეზიანია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს ზოგად დებულებას დაუშვებელი მტკიცებულების შესახებ, რომლის თანახმადაც, კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.⁶⁸ პროვოცირების პრევენციის თვალსაზრისით, ამგვარი ზოგადი ჩანაწერი ვერ ჩაითვლება მყარ საპროცესო გარანტიად, იმ პირობებში, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების ჩატარება არ არის მკაფიოდ და გამჭვირვალედ რეგულირებული. საკითხის დარეგულირების ერთ-ერთი გზა შესაძლებელია იყოს საკანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს დანაშაულის პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობის ანდა პროცესის სხვაგვარი შედეგის შესახებ. ასეთი დამაკონკრეტებელი ჩანაწერის საპროცესო კანონმდებლობაში ასახვა, იქნება დამატებითი ბიძგი სასამართლოსთვის, საფუძვლიანად გამოიკვლიოს ბრალდებულის მიერ დანაშაულის პროვოცირების შესახებ განაცხადი, შეაფასოს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების დაწყების საფუძვლიანობა და ასეთი ღონისძიების მიმდინარეობა. პროვოცირების დადასტურების შემთხვევაში, მიზანშეწონილია სასამართლოს ჰქონდეს ორივე სამართლებრივი შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობა: მტკიცებულებათა დაუშვებლობა და დანაშაულის პროვოცირებით დაწყებული სისხლის სამართლის საქმის განხილვის შეწყვეტა, დადგენილი დარღვევის ინტენსივობიდან გამომდინარე.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს - დანაშაულის პროვოკაცია - სასურველია დაკონკრეტდეს ამ მუხლის გამოყენების ფარგლები. სისხლის სამართლის გამოძიების დაწყება და სამართალდამცავის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება ყველა შემთხვევაში არ მოჰყვეს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების ჩატარებისას დასაშვები ფარგლების გადაჭარბებას, ანუ დანაშაულის პროვოკაციას. რიგ შემთხვევებში რეაგირება შესაძლოა შემოიფარგლებოდეს დისციპლინური დევნით (გასათვალისწინებელია განზრახვის ხარისხი).

⁶⁷ იხ. BANNIKOVA v. RUSSIA, საქმე 18757/06, 04/11/2010 პარაგ. 55. The Court will generally leave it to the domestic authorities to decide what procedure must be followed by the judiciary when faced with a plea of incitement. For instance, in cases against the United Kingdom it has not expressed any preference for one of the two following procedures available under English law (see, among other authorities, Edwards and Lewis, cited above, § 46): “Under English law, although entrapment does not constitute a substantive defence to a criminal charge, it does place the judge under a duty either to stay the proceedings as an abuse of process or to exclude any evidence obtained by entrapment on the ground that its admission would have such an adverse effect on the fairness of the proceedings that the court could not admit it ...” ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-101589>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁶⁸ იხ. მუხლი 72, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

დანაშაულის პროვოცირების საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ბრალდების მხარის მიერ მტკიცების ტვირთის არასათანადოდ შესრულება განიხილება როგორც დანაშაულის პროვოცირების პრემიუმაცია.

საქმეში „**რამანუსკასი ლიტვის წინააღმდეგ**“ სასამართლომ განმარტა მტკიცების ტვირთის საკითხი და მიუთითა, რომ დანაშაულის პროვოცირების არარსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს, იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარის პოზიცია პროვოცირების შესახებ არ არის სრულიად დაუსაბუთებელი. ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, გამოიკვლიოს ყველა გარემოება და დაადგინოს ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას.⁶⁹

ქართული სასამართლოს პრაქტიკა ვერ აკმაყოფილებს ამ სტანდარტს; არასაკმარისი საპროცესო გარანტიები და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შესახებ კანონის ზოგადი ჩანაწერი არ არის შევსებული სიღრმისეული სასამართლო პრაქტიკით.

წინამდებარე ანგარიში მომზადების ფარგლებში შესწავლილი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან⁷⁰, იმ საქმეებზე, რომლებშიც დადგა დანაშაულის პროვოცირების საკითხის შეფასების საჭიროება, იკვეთება, რომ სასამართლო ამ საკითხს არ უთმობს სათანადო ყურადღებას. სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ იმის ხაზგასმით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ფარული აგენტის გამოყენება საგამოძიებო მოქმედებაში იმთავითვე არ გულისხმობს პირის უდანაშაულობას და არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. სასამართლო, რიგ შემთხვევებში, დანაშაულის პროვოცირების საკითხზე მსჯელობისას მიუთითებს საგამოძიებო ორგანოების მოქმედების ფარგლებსა და ინტენსივობაზე, როგორც საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვან გარემოებებზე. თუმცა, სიღრმისეულად არ იკვლევს საგამოძიებო მოქმედების დაწყების მომენტში საფუძვლების არსებობას.

2. ევროპის ქვეყნების პრაქტიკა დანაშაულის პროვოცირების საკითხზე

2.1 გერმანია

გერმანიის სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკით, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულის მაპროვოცირებელი ქმედების ჩადენა მიიჩნეოდა სასჯელის

⁶⁹ იხ. Human rights and criminal procedure, The case law of the European Court of Human Rights, გვ. 214. , ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.echr.coe.int/documents/pub_coe_criminal_procedure_2009_eng.pdf ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁷⁰ კვლევის მიზნებისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი, არაიდენტიფიცირებადი ფორმით მონოდებული 10 გადაწყვეტილება.

შემამსუბუქებელ გარემოებად. ამგვარი პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია დანაშაულის პროვოცირებით გამოწვეული შედეგების კომპენსაციის არასაკმარის მექანიზმად და დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა საქმეში „ფურხტი გერმანიის წინააღმდეგ“.⁷¹

ამ გადაწყვეტილების შემდგომ, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით შეცვალა ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა და დანაშაულის მაპროვოცირებელი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, განმარტა როგორც საქმის განხილვის შეწყვეტის (დევენის შეწყვეტის) ერთ-ერთი საფუძველი, ამასთან, ღიად დატოვა საკითხი, ყველა შემთხვევაში უნდა მოყვეს თუ არა მაპროვოცირებელი ქმედების გამოვლენას შედეგად საქმის განხილვის შეწყვეტა.⁷²

2015 წლის გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ჩამოაყალიბა სახელმძღვანელო მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან შესაბამისობით უნდა მოხდეს დანაშაულის პროვოცირების საკითხის შეფასება და განიმარტოს საგამოძიებო ორგანოს ქმედების „არსებითად პასიური ფორმის“ შინაარსი, კერძოდ:

- დანაშაულის მაპროვოცირებელი ქმედება შესაძლოა გამოვლინდეს როგორც კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების დანებისას (საფუძვლის არასაკმარისობის გამო), ასევე შემდგომში, საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლის მიერ მოქმედების პასიური ფორმის სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში.
- პროვოცირების ნიშნები, შესაძლოა, არსებობდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მართალია, დანაშაულის შესახებ გარკვეული ობიექტური ეჭვი არსებობს, მაგრამ სამიზნე პირზე ზემოქმედების ხარისხი, არსებულ ეჭვთან შედარებით შეუსაბამოდ გადაჭარბებულია (არსებულ ეჭვსა და მის საფუძველზე განხორციელებულ საგამოძიებო ქმედებას შორის თანაზომიერება).⁷³
- მაპროვოცირებელი ქმედების გამოვლენის სამართლებრივ შედეგად განისაზღვრა საქმის განხილვის შეწყვეტა (დევენის შეწყვეტა). ფედერალური სასამართლოს განმარტებით პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობა და საქმიდან ამორიცხვა არ არის საკმარისი ზომა სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფისთვის. დანაშაულის პროვოცირება განსხვავდება კანონის

⁷¹ იხ. Furcht v. Germany, Application no. 54648/09, 23/01/2015, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=001-147329&filename=001-147329.pdf> ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁷² იხ. გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება, BGH, Urteil vom 10. Juni 2015 - 2 StR 97/14 - LG Bonn. ხელმისაწვდომია ბმულზე <http://juris.bundesgerichtshof.de/cgi-bin/rechtsprechung/document.py?Gericht=bgh&Art=en&az=2%20StR%2097/14&nr=72875>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁷³ იხ. იქვე, პარაგ. 24.

დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების შემთხვევისაგან, ვინაიდან პირველ შემთხვევაში, მაპროვოცირებელი ქმედების შედეგი თავად დანაშაულის ჩადენის ფაქტია და არამხოლოდ კონკრეტული მტკიცებულების მოპოვება. ამასთანავე, სირთულეს წარმოადგენს ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს, რა წარმოადგენს უშუალოდ დანაშაულის პროვოცირების შედეგად პირდაპირ მოპოვებულ მტკიცებულებას და რა არაპირდაპირს. გამომდინარე აქედან, დანაშაულის პროვოცირების შემთხვევაში უფრო სამართლიან სამართლებრივ შედეგს ქმნის საქმის განხილვის შეწყვეტა (დევნის შეწყვეტა).⁷⁴

2.2. ავსტრია

ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2016 წლიდან ითვალისწინებს პროვოცირების საკითხთან დაკავშირებულ საპროცესო გარანტიებს. კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად:

*დაუშვებელია პირის მიყვანა დანაშაულის ჩადენამდე, იმგვარი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, დაუშვებელია ფარულად მიგზავნილი პირის მიერ აღიარებითი ჩვენების მოპოვება.*⁷⁵

ამავე კოდექსის 133-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად:

*პროკურატურამ არ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებამდე მიყვანილ იქნა მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ქმედებებით.*⁷⁶

ავსტრიის უზენაეს სასამართლოს დანაშაულის პროვოცირების საკითხის შეფასების სტანდარტი ჩამოყალიბებული აქვს 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებაში⁷⁷, რომლის თანახმად:

„კანონის შესაბამისი ფარული საგამოძიებო მოქმედებისგან განსხვავებით პროვოცირების დროს საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლები არ შემოიფარგლებიან მოქმედების არსებითად პასიური ფორმით. პირზე ახორციელებენ იმგვარი ხასიათის შემოქმედებას,

⁷⁴ იხ. იქვე, პარაგ. 51.

⁷⁵ იხ. ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10002326> ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁷⁶ იხ. იქვე.

⁷⁷ იხ. ავსტრიის უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილება OGH 12 Os 5/16a, 14/07/2016, ხელმისაწვდომია ბმულზე https://rdb.manz.at/document/ris.just.JJT_20160714_OGH0002_0120OS00005_16A0000_000 ბოლო წვდომა 20/06/2019.

რომელსაც შედეგად მოყვება დანაშაულის ჩადენამდე. დანაშაული სხვაგვარად არ იქნებოდა ჩადენილი. საკითხის შეფასებისთვის არსებობს შემდეგი კრიტერიუმები:

- რამდენად არსებობდა ეჭვის ობიექტური საფუძველი, რომ პირი მონაწილეობდა დანაშაულებრივ ქმედებაში ან მიდრეკილი იყო ამგვარი ქმედების ჩადენისკენ, და რა ზომით განხორციელდა მასზე გემოქმედება.
- სავამოძიებო ორგანოები სკდებიან მოქმედების არსებითად პასიური ფორმის ფარგლებს, როდესაც პირს უკავშირდებიან რამდენჯერმე, მას შემდეგ რაც მან უარი განაცხადა შეთავაზებაზე.
- როდესაც პირის მიმართ გამოყენებულია დარწმუნების და ფსიქოლოგიური გემოქმედების მეთოდები.
- პირის მიმართ სავამოძიებო მოქმედების დანყება სკდება კანონიერ ფარგლებს მაშინ, როდესაც არაფერი მიუთითებდა პირის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მზაობაზე, მანამდე ვიდრე პოლიცია მასთან კონტაქტში შევიდოდა.⁷⁸

2.3. დიდი ბრიტანეთი

დანაშაულის პროვოცირების საკითხზე ბრიტანეთში დამკვიდრებული პრაქტიკა შეიცვალა ლორდთა პალატის 2001 წლის გადაწყვეტილებით.⁷⁹ გადაწყვეტილებაში სასამართლომ (ლორდთა პალატა - რომელიც 2005 წლის რეფორმამდე ახორციელებდა ასევე სასამართლო უფლებამოსილებებს) იმსჯელა როგორც დანაშაულის პროვოცირების სამართლებრივი შედეგის, ასევე სასამართლოს მიერ პროვოცირების დადგენის სტანდარტის შესახებ.

2.3.1. დანაშაულის პროვოცირების სამართლებრივი შედეგი

2001 წლის გადაწყვეტილებით შეიცვალა მანამდე დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვით, პროვოცირების ფაქტის დადგენა მიიჩნეოდა მხოლოდ სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად და გავლენას არ ახდენდა ბრალის დადგენაზე. იმ დროს სასამართლო ავითარებდა შემდეგ მსჯელობას: „მრავალი სახის დანაშაულის ჩადენა ხდება ერთი პირის მიერ სხვათა ნაქმედების შედეგად. ის ფაქტი, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ინიციატორი ანდა შემსყიდველი პოლიციელია, გავლენას არ ახდენს ბრალის არსებობაზე. ბრალის როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მხარე სახეზეა, გამომდინარე აქედან, შეუძლებელია რაიმე სხვა შედეგის დადგომა გარდა ბრალის დადგენისა.“⁸⁰

⁷⁸ იხ. იქვე.

⁷⁹ იხ. Regina v Looseley, 25/10/2001, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://publications.parliament.uk/pa/ld200102/ldjudgmt/jd011025/loose-1.htm>, ბოლო წვდომა 20/06/2019.

⁸⁰ იხ. იქვე, პარაგ. 8.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის შესაცვლელად, დიდი ბრიტანეთის სასამართლომ იმსჯელა დანაშაულის პროვოცირების შედეგობრივ მხარეზე 2001 წლის გადაწყვეტილებაში; კერძოდ, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა არის თუ არა დანაშაულის პროვოცირება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, თუ პროვოცირების დადგენას შედეგად მხოლოდ პროცესუალური შედეგი, მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობა უნდა მოჰყვეს.

სასამართლოს შეფასებით, პროვოცირება ცალსახად, ყველა შემთხვევაში, არ არის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. 2001 წლის გადაწყვეტილებით ინგლისური სამართალი ავითარებს შემდეგ პრაქტიკას: დანაშაულის პროვოცირების შემთხვევაში შედეგი, შესაძლოა იყოს ორივე, როგორც მტკიცებულებების დაუშვებლობა, ასევე, დევნის შეწყვეტა მატერიალურ-სამართლებრივი არგუმენტით. სასამართლო საკითხს წყვეტს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. ამასთან, პროვოცირების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველად მიჩნევა და დევნის შეწყვეტა განიხილება როგორც უფრო შესაფერისი ზომა.⁸¹

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დანაშაულის პროვოცირებისას სასამართლოს მიერ დევნის შეწყვეტის დროს, მიზანს არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ სამართალდამცავ ორგანოებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუმცა, ამგვარი შედეგის დადგომაც შესაძლებელია.⁸²

2.3.2. დანაშაულის პროვოცირების დადგენის სტანდარტი

2001 წლის გადაწყვეტილებაში მოცემული განმარტებით, დანაშაულის პროვოცირების არსებობის დადგენა გულისხმობს პასუხის გაცემას კითხვებზე: რას ნიშნავს „სახელმწიფოს მიერ გენერირებული“ დანაშაული, რა ფარგლებშია პოლიციის/საგამოძიებო ორგანოს ქმედება კანონიერი და რა მომენტიდან იქცევა იგი დანაშაულის მაპროვოცირებელ ქმედებად. სასამართლომ განმარტა, რომ არ იზიარებს აშშ-ში დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომლის თანახმად, პროვოცირების არსებობის დასადგენად განმსაზღვრელია ჰქონდა თუ არა პირს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის წინასწარგანწყობა.⁸³ ბრიტანეთის სასამართლო მიიჩნევს რომ:

პროვოცირების ფაქტის დასადგენად, წინასწარგანწყობის არსებობა ან არარსებობა არ არის ქმედითი ტესტი. წინასწარგანწყობის არსებობის დადგენა რეალურ სირთულეს წარმოადგენს. გარდა ამისა, პირი შესაძლოა გახდეს პროვოცირების მსხვერპლი წინასწარგანწყობის არსებობის შემთხვევაშიც. წინასწარგანწყობის არსებობა ვერ

⁸¹ იხ. იქვე, პარაგ. 16.

⁸² იხ. იქვე პარაგ. 17.

⁸³ იხ. იქვე პარაგ. 20-22.

გამართლებს პოლიციის მხრიდან დასაშვები მოქმედების ფარგლების უგულებელყოფას და მის ხელთ არსებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.⁸⁴

პოლიციის მოქმედების ფარგლები უნდა დადგინდეს იმგვარად რომ ერთნაირი იყოს ყველა გარემოებაში. ამგვარ ტესტად მოიაზრება სტანდარტი, რომლის მიხედვითაც: პოლიციის მოქმედება არ უნდა გასცდეს პირისთვის დანაშაულის ჩადენის „მოულოდნელი შესაძლებლობის“ მიცემის ფარგლებს. ხაზგასასმელია სიტყვა მოულოდნელი. მოულოდნელი შესაძლებლობის მიცემა გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც მოსალოდნელი იქნებოდა ნებისმიერი სხვა, არა პოლიციელი პირის ჩართულობით დანაშაულის ჩადენისას.⁸⁵

ზემოთ დასახელებული ტესტი არ წარმოადგენს მხედველობაში მისაღებ ერთადერთ გარემოებას. სხვა ასევე მნიშვნელოვანი საკითხებია:

- საგამოძიებო ორგანოს მიერ კონკრეტული საგამოძიებო ტექნიკის გამოყენების საფუძველი, ჩარევის ხარისხი. ჩარევის ინტენსიურობის მაღალი ხარისხი გულისხმობს ჩარევის თანაზომიერი მყარი საფუძვლის არსებობას, რომელსაც სასამართლო მკაცრად ამოწმებს.⁸⁶
- კონკრეტული დანაშაულის ბუნება. პროაქტიული მოქმედების საჭიროება მაღალია ზოგიერთი სახის დანაშაულის მიმართ. ასევე ყურადსაღებია დანაშაულის გამოვლენის სირთულე.⁸⁷
- პოლიციის მიერ განხორციელებული მოქმედებების, მცდელობების ხასიათი. რაც მეტად დაუინებელი და ინტენსიურია საგამოძიებო ორგანოების აქტივობა, მით მეტია მათ მიერ დასაშვები ფარგლების გადაჭარბების ალბათობა.⁸⁸
- პირის კრიმინალური წარსული. თუმცა, კრიმინალური წარსულის არსებობა არ შეიძლება დამოუკიდებლად, სხვა ობიექტური გარემოებების არსებობის გარეშე, გახდეს პირის მიმართ კონკრეტული ღონისძიების გამოყენების საფუძველი.⁸⁹

3. დასკვნა

ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის ანალიზზე დაყრდნობით, დანაშაულის პროვოცირების პრევენციისა და ჭოხონელიძის საქმეზე ევროსასამართლოს მიერ მიღებული

⁸⁴ იხ. იქვე, პარაგ. 22.

⁸⁵ იხ. იქვე, პარაგ. 23.

⁸⁶ იხ. იქვე, პარაგ. 24.

⁸⁷ იხ. იქვე, პარაგ. 28.

⁸⁸ იხ. იქვე, პარაგ. 28.

⁸⁹ იხ. იქვე, პარაგ. 29.

გადაწყვეტილების სრულყოფილად აღსრულებისთვის, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ცალკე კანონით რეგულირების საჭიროება სისხლის სამართლის საქმეთა მიზნებისათვის. მიზანშეწონილია, ისევე როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებიც გამოიყენებოდეს დანაშაულის სიმძიმისა და ბუნების გათვალისწინებით.
- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას; ასეთი ღონისძიების გამოყენების მთელი პროცესი უნდა ექვემდებარებოდეს მკაფიოდ განვრილ პროცედურას, რაც შექმნის სასამართლოს მიერ მისი კანონიერად გამოყენების გადამოწმების შესაძლებლობას.
- კანონი უნდა ითვალისწინებდეს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების გამოყენების პროპორციულობის და თანაზომიერების შეფასების აუცილებლობას, რაც გულისხმობს დანაშაულის ჩადენის შესახებ არსებულ ეჭვსა და ამ საფუძველით განხორციელებულ საგამოძიებო ქმედებას შორის თანაზომიერების დაცვას.
- საპროცესო კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულის პროვოცირების სამართლებრივი შედეგების შესახებ ნორმებს. სამართლებრივი შედეგის ორი ალტერნატივიდან: პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამორიცხვა ან პროვოცირების შედეგად დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, კანონმდებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმ შედეგის განსაზღვრის სასარგებლოდ, რომელიც უფრო დაახლოებული იქნება ქართული სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებთან.

V. შემაჯამებელი დასკვნა

კვლევაში წარმოდგენილი სამი საკითხი: მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი, სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პროცესში და დანაშაული პროვოცირების საპროცესო გარანტიების რეგულირება - წარმოადგენს ფუნდამენტური ხასიათის პრობლემებს. ამ საკითხების მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებაზე მუშაობა, არსებითი მნიშვნელობის მქონეა ევროსასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი რიგი გადაწყვეტილებების ეფექტური აღსრულების უზრუნველსაყოფად ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში.

საქართველოს პარლამენტის ყურადღებას ასევე მივაპყრობთ იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის იმ ნაწილზე, რომლებშიც საუბარია მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას საქმეთა შიდა გადასინჯვის პროცესზე, რომელიც უკვე განხორციელდა სადისციპლინო

კოლეგიაში ორ საქმეზე. („სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“, „გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ“). საქმეთა შიდა გადასინჯვა არის ინდივიდუალური ღონისძიების ნაწილში აღსრულების საკითხის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტი. იმ პირობებში, როდესაც სადისციპლინო კოლეგიამ უარი თქვა საქმეთა შინაარსობრივ გადასინჯვაზე და შეწყვიტა ხანდაზმულობის არგუმენტით, საქმეები ვერ ჩაითვლება ინდივიდუალური ღონისძიებების ნაწილში ეფექტურად აღსრულებულად.

მივესალმებით იუსტიციის სამინისტროს მიერ ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას, რომ იგეგმა საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვა, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინებით; ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეფორმის დაწყების პროცესს და გამოვთქვამთ აღნიშნულ პროცესებში აქტიურად ჩართულობის მზაობას.